

## შპს „ბესტ კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წელი

### ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბესტ კრედიტი“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 16 მარტს (რეგისტრაციის ნომერი: B17061052; გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 412683582). კომპანიის მისამართია: ქალაქი ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #140. დამფუძნებლები: ალექსანდრე ზოსიაშვილი (60501170840) – 60%-ის მფლობელი; ავთანდილ ასათიანი (60003008375) – 40%-ის მფლობელი.

შპს „ბესტ კრედიტი“-ს საქმიანობის სფერო არის სხვადასხვა საკრედიტო მომსახურების გაწევა. ამასთან, საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ გაუცია კრედიტები ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლები შეადგენს წინა პერიოდებში გაცემული კრედიტებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებს..

საანგარიშგებო პერიოდი არის პერიოდი, რომელიც დაიწყო 2021 წლის 1 იანვარს და დამთავრდა 2021 წლის 31 დეკემბერს.

შპს „ბესტ კრედიტი“-ს 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი და აშშ დოლარი. საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარებში.

ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ შპს „ბესტ კრედიტი“ უწყვეტად განაგრძობს თავის საქმიანობას მომავალში, სანამ არ იქნება ამოღებული სრულად წინა საანგარიშგებო პერიოდებში გაცემული სესხები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

განმარტებითი შენიშვნები

## სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დებულებები

- აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვისათვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი - ოპერაციების შედეგები და სხვა მოვლენები აღიარდება მათი წარმოშობისას/მოხდენისას (და არა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების მიღების ან გადახდისას) და აისახება იმ პერიოდის სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც მათ ჰქონდათ ადგილი;
- წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე;
- კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით; ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის ის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. კომპანია ცვეთის დარიცხვას ახდენს კალენდარული წლის ბოლოს;
- აქტივების თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს;
- ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი, ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები;
- ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები ემატება შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას, თუ ეს ხარჯი უზრუნველყოფს მისგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს მისგან დაგეგმილი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, გაწევისთანავე აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი;
- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება

პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საანგარიშო პერიოდში ძირითადი საშუალებების გადაფასებას ადგილი არ ქონია;

- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო ხარჯვისას მათი შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით;
- თანამშრომელთა ხელფასები და სხვა ანაზღაურება - მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, საშვებულებო ანაზღაურებას და დახმარებას დროებითი შრომისუუნარობის გამო;
- კომპანიის კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენენ კომპანიის დამფუძნებლებისგან მიღებულ სესხებს და წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც, როგორც წესი, იფარება მომდევნო საანგარიშო პერიოდებში;
- კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის, მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს, რომელსაც დაემატება კომპანიის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ნაწილი, რაც რჩება კომპანიას დამფუძნებლისათვის დივიდენდების გადახდის შემდეგ;
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად და საბანკო ნაშთებს;
- კომპანიის მიერ გადასახადების დარიცხვისას და გადახდისას, გათვალისწინებულია ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები.

შპს "ბესტ კრედიტი"-ს დირექტორი



განმარტებითი შენიშვნები



**ფინანსური მდგომარეობა**

**ფინანსური მდგომარეობა**

**31/12/2021    31/12/2020    31/12/2019**

**აქტივები**

|                                                     |        |         |         |
|-----------------------------------------------------|--------|---------|---------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები               | 2578   | 1023    | 119878  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                          | 187023 | 352843  | 478167  |
| გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი  | 0      | 0       | 3674    |
| მარაგები                                            | 77368  | 39625   | 39628   |
| მზა პროდუქცია                                       | 0      | 0       | 0       |
| სხვა                                                | 77368  | 39625   | 39628   |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                          | 2394   | 2754    | 4138    |
| ბიოლოგიური აქტივები                                 | 0      | 0       | 0       |
| თვითღირებულების მოდელით                             | 0      | 0       | 0       |
| გასაყიდი ფასის მოდელით                              | 0      | 0       | 0       |
| ძირითადი საშუალებები                                | 21341  | 29420   | 13198   |
| მიწა                                                | 0      | 0       | 0       |
| შენობა-ნაგებობები                                   | 0      | 0       | 0       |
| სხვა ძირითადი საშუალებები                           | 20826  | 28905   | 12667   |
| არამატერიალური აქტივები                             | 515    | 515     | 531     |
| საიჯარო აქტივი საკუთრების გადაცემის პირობით         | 0      | 0       | 0       |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0      | 0       | 0       |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          | 632570 | 652570  | 663155  |
| კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი)                      | 0      | 0       | 0       |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                        | 0      | 0       | 0       |
| სულ აქტივები                                        | 923274 | 1078235 | 1321838 |

**ვალდებულებები**

|                                                   |        |        |        |
|---------------------------------------------------|--------|--------|--------|
| სავაჭრო ვალდებულებები                             | 6322   | 5997   | 5799   |
| ანარიცხები                                        | 0      | 0      | 0      |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                | 0      | 0      | 0      |
| საგადასახადო ვალდებულებები                        | 374    | 314    | 21     |
| დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი | 0      | 0      | 0      |
| მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები                | 463494 | 525268 | 785750 |
| ბანკებისგან ნასესხები თანხები                     | 0      | 0      | 0      |
| სხვა ნასესხები თანხები                            | 0      | 0      | 0      |
| სხვა ვალდებულებები                                | 320    | 320    | 320    |
| სულ ვალდებულებები                                 | 470510 | 531899 | 791890 |

**საკუთარი კაპიტალი**

|                                                |        |         |         |
|------------------------------------------------|--------|---------|---------|
| საკუთარი კაპიტალი (სს-ისთვის სააქციო კაპიტალი) | 147500 | 167500  | 167500  |
| საემისიო კაპიტალი                              | 0      | 0       | 0       |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                   | 0      | 0       | 0       |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)      | -34685 | -96545  | -76353  |
| გადაფასების რეზერვი                            | 0      | 0       | 0       |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები           | 339949 | 475381  | 438801  |
| სულ საკუთარი კაპიტალი                          | 452764 | 546336  | 529948  |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები         | 923274 | 1078235 | 1321838 |



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

31/12/2021 31/12/2020

|                                                                   |        |        |
|-------------------------------------------------------------------|--------|--------|
| ნეტო ამონაგები                                                    | 68470  | 38909  |
| საქონლის გაყიდვიდან                                               | 0      | 0      |
| მომსახურების გაწევიდან                                            | 21230  | 0      |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                      | 0      | 0      |
| სხვა                                                              | 47240  | 38909  |
| გაყიდვების თვითღირებულება                                         | 0      | 0      |
| საწყისი მარაგები                                                  | 0      | 0      |
| მარაგების შესყიდვა                                                | 0      | 0      |
| გადამუშავების დანახარჯები                                         | 0      | 0      |
| საბოლოო მარაგები                                                  | 0      | 0      |
| საერთო მოგება                                                     | 68470  | 38909  |
| სხვა შემოსავალი                                                   | 5108   | 6658   |
| ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი                    | -48660 | -44363 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                        | -911   | -7056  |
| გაუფასურების ხარჯი:                                               | 0      | 0      |
| ფინანსური აქტივები                                                | 0      | 0      |
| მარაგები                                                          | 0      | 0      |
| სხვა არაფინანსური აქტივები                                        | 0      | 0      |
| საპროცენტო შემოსავალი                                             | 0      | 571    |
| საპროცენტო ხარჯი                                                  | 0      | 0      |
| დივიდენდად გაცემული არაფულადი აქტივის საბაზრო ღირებულების კორ;    | 0      | 0      |
| ცვლილება ბიოლოგიური აქტივის გასაყიდ ფასში                         | 0      | 0      |
| სხვა ხარჯები                                                      | 0      | -14911 |
| მოგება / ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე                     | 24007  | -20192 |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                         | 0      | 0      |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                            | 24007  | -20192 |
| საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული                    | -58692 | -76353 |
| გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)     | -96545 | -76353 |
| გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა                       | 37853  | 0      |
| გასული პერიოდის საადრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა            | 0      | 0      |
| ბიოლოგიური აქტივის გასვლისას, გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატან | 0      | 0      |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                    | 0      | 0      |
| გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი                               | -34685 | -96545 |

